# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 76 ნიუ იორკი, დეკემბერი 1966 წ. GEORGIAN OPINION NEW YOPK, DECEMBER 1966

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნიუ იორკი, დეკემბერი 1966 წ.**

„ჩვენ გვესმის და ადვილად გამოსაცნობიც არის, რისთვის გვიხარია შობის დღე. გვესმის ეს დიდი დღე, რისთვის არის დიდი, რისთვის არის ყოველწლივ სიხარულით და მილოცვით მისაგებებელი, რისთვის არის სადღესასწაულო დიდისა და პატარასათვის. ამ დღეს დაიბადა სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვარი, ღმერთი ყოვლად მოწყალებისა და ყოვლად მხსნელი სიყვარულისა. ღმერთი ნუგეშის მცემელი უძლურისა და უღონოსი; დავრდომილთა აღმდგენელი, სნეულთა მაურვებელი, ცოდვილთა შემწყნარებელი, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მეოხ-პატრონი და მწყალობელი. მან აღამაღლა ღირსება და პატივი ადამიანისა იქამდე, სადამდინაც მისდა მოსვლამდე ვერ მიმწვდარიყო ადამიანის შეშინებული გონება და გაუღვიძებელი გრძნობა“.

**ილია**

ასეთი იყო და დარჩა ქრისტეს შობის მაღალი გაგება და მისი დანიშნულება.

ჩვენც, ამ შთამაგონებელი მოძღვარის დაბადების დღეს, ულოცავთ ჩვენს თანამემამულეებს წმინდა დღესასწაულს. ყოველ ქართველს უსურვებთ ბედნიერებას, მიზნის მიღწევას, შრომისა და ეროვნული თვითმყოფობისათვის ბრძოლის უნარის განმტკიცებას.

მოწიწებით და სასოებით ვიგონებთ მათ სახელებს, რომლებმაც თავდაუზოგველი შრომით, თავდადებული ბრძოლით და სანიმუშო მიძღვნილობით, საქართველო ქრისტიანულ კულტურას აზიარეს და, ამით, ჩვენი ერი გააკეთილშობილეს.

ვინ დასთვლის, ვინ ასწონავს ჩვენი წმინდა მამების ღვაწლსა და ამაგს? როგორი მუყაითობით, მძიმე შრომით და დაუშრეტელი ენერგიით შექმნეს ქართული ეროვნული კულტურა და ის ქრისტიანული ცივილიზაციის უძველეს ერთა შორის პატივითა და დიდებით შეიყვანეს.

ილია ამბობდა: „ქრისტე ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის, საქართველო კი ქრისტესათვისო“. ეს არ არის „ქრისტესათვის ჯვარცმული“ საქართველოს წინამძღვარის მწუხარე ამოძახილი, არამედ ქრისტიანიზმისა და ეროვნულობის შერწყმის დასაბუთება; ჩვენ ეროვნულ ცხოვრებაში მისი მაღალი როლის და დანიშნულების აღიარება.

ჩვენმა წინაპრებმა თავიდანვე აუღეს ალღო, რომ ერის ძალა, მისი უკვდავება, მისი მარადიულობა, მის ზნეობრივ სიმაგრეშია და ამას ვერა სცვლის რიცხობრივობა, ან კარგი შეიარაღება.

ჩვენი ისტორიის ყოველ ეპოქაში, როცა კი ერი განსაცდელის პირისპირ იდგა; გამოჩნდებოდნენ იაკობ ხუცესები, იოანე საბანისძენი და ქართველ ხალხს სწორედ მაშინ მისცემდნენ სულიერ საზრდოს და ზნეობრივი ძალის საჭედ გრდემლზე ჩაქუჩს მაგრად დაარტყავდნენ. ჩვენი ერის რჩეული შვილები მაღალი შთაგონებით თავიდანვე მიხვდნენ, რომ ერის სულიერ-ზნეობრივი ძალის საფუძველი ქრისტიანული მორალია: სათნოება, სიკეთე, სიყვარული და კეთილშობილი მაპატიებელი ბუნება: ადამიანის ღირსების დაცვა და დაფასება...

ერთი ჩინელი მეცნიერი თავის ხალხს ამოძღვრებდა: „ისე მოაწყე ცხოვრება, რომ სიკვდილისათვის ყოველთვის მზად იყოო“, ქრისტემ კი ადამიანს უკვდავება, მარადიულობა დაუსახა მიზნად. მიწიერი, ბიწიერი, მატერიალური სიძლიერის უარყოფით და ზაციურ, სულიერის მიზანდასახულობით, ქრისტემ, ახალი შინაარსი და მაღალი დანიშნულება მისცა ადამიანის სიცოცხლეს.

დღეს, ქრისტეს დაბადების ორიათასი წლის თავზე უკვე ნათელია, რომ კაცობრიობის პროგრეს, ცივილიზაციას და კულტურას ქრისტეს მცნება დაედო საფუძვლად და, სამართლიანად, მას ქრისტიანული კულტურა ეწოდება. ვინც ქრისტიანიზმს ვერ ეზიარა, ის ეროვნულათაც დაქვეითდა და დაკნინდა.

შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ მუსულმანურ რკალში მოქცეული საქართველო შეინახავდა ეროვნულ პიროვნებას, თუ თავის თვით არსებობისათვის ბრძოლის ქვაკუთხედი ქრისტიანული მორალი, ქრისტიანული სათნოება და ამავე დროს ქრისტიანული სიმტკიცე და მიძღვნილობა არ ექნებოდა.

„ვინც რომ მოკვდნენ მეფეთათვის სულნი მათნი ზეცას რბიანო“. განა ეს ქრისტიანიზმის პირდაპირი ამოძახილი არ არის? მაღალი დანიშნულების ადამიანის უკვდავების, მისი მარადიულობის სანიმუშო გამომზეურება?!

მონობის ტალღათა ყველაზე უფრო ძლიერად აზვირთების ეპოქაში რუსთაველმა კაცობრიობას გადასძახა: „მიეც გლახაკთა საჭურთქლე ანთავისუფლე მონებიო“. თუ არ ქრისტიანულ მორალს, სხვა რა ძალას შეეძლო ამგვარი შთაგონება მიეცა თვით გენიოს მოაზროვნისათვის!? თუ არ ქრისტიანული სათნოებით განმსჭვალულ ერს, სხვა რომელს შეეძლო, იმ პოქაში, აზროვნების ეს მიმართულება მიეღო და მისთვის პატივი ეცა?!

მართალია რუსთაველს დღეს საპროპაგანდოთაც იყენებენ და ის „ლენინური ხალხთა ძმობის“ (ე. ი. რუსეთის საქართველოში ბატონობის) აღმსარებლად გამოჰყავთ და მის უკვდავ ქმნილებას ღვთის მგმობელ და ათეისტურათაც აცხადებენ, მაგრამ ლენინიზმისა და მარქსიზმის თვით აღვირახსნილი პროპაგანდისტებიც კი, ხანდისხან ვერა ფარავენ, რომ უკვდავი ვეფხის ტყაოსანი პირველიდან უკანასკნელ სტრიქონამდე ქრისტიანული მორალით არის გაჟღენთილი და მისი პირმშოა. ერთი ქართველი მეცნიერის განმარტებით ვეფხის ტყაოსნის „ბუნებაზიარი“ და „სრული“ „პიროვნების ახალი ღირებულების კატეგორიებია. ეს მომენტი მით უფრო საყურადღებოა, რომ ჩვენ უკვე ვიცით, თუ საიდან მომდინარეობს გენეტიკურად „ბუნებაზიარობისა“ და „სრულის“ გააზრება, როგორც თეოლოგიური ცნებისა. „ბუნებაზიარობა“ —როგორც ზიარებასთან დაკავშირებული ცნება „განსრულების თავისებური პირობაა. ქრისტიანული სულისკვეთების მიხედვით ეს არის ამ ქვეყნიურ პირობებში შესაძლებელი გზა სისრულისაკენ“-ო და სხ...

როგორც აღვნიშნედ, ერის დიდება არ იქმნება მისი მრავალრიცხოვანობით, არც იარაღის ჩხარუნით, არამედ, და მხოლოდ, მისი ზნეობრივ სულიერი მორალით; სათნოებით, შეწყნარებლობით, კეთილშობილებით და მაღალ იდეებისადმი მიძღვნილობით ეს დაანათლა საქართველოს ქრისტიანიზმმა და ჩვენმა წმინდა მამებმა ჩვენი სამშობლო უძლეველ და უკვდავ ქვეყანად აქციეს ქრისტიანულ სათნოებასთან ზიარებით.

ცხადია, ქრისტიანიზმი ყოველმა ერმა თავისებურად გაიგო და შეითვისა...

ჩვენი მპყრობელი რუსეთიც ქრისტიანულია, მაგრამ იქ ფესვი ვერ გაიდგა ქრისტიანულმა სათნოებამ. როგორც ბელინსკი ამტკიცებს, რუსი სამღვდელოებაც კი ანტირელიგიურია. მათთვის ეს შემოსავლის წყაროთ იქცა, რათა იოლი შრომით იცხოვრონ. ჩვენი წმინდა მამები კი საკუთარი ზურგით ეზიდებოდნენ ქვას და აგურს, რათა მონასტერი აღეგოთ და ის მეცნიერების სავანედ ექციათ.

ისიც ცხადია, რომ თვით ქრისტიანიზმმა დიდი ევოლუცია განიცადა, დღევანდელ ეპოქაში, რომის პაპის ახალი რეფორმები, თანამედროვეობასთან შეფარდების ცდაა, ქრისტიანული მორალის თანამედროვე ადამიანის მოთხოვნილებაზე გადამყნა...

მაგრამ ქრისტიანული მორალი და შინაარსი უცვლელია, იცვლება მხოლოდ მისი გამოყენების და ცხოვრებასთან შეგუების ფორმა...

სწორედ გაგებულმა ქრისტიანიზმმა ქვეყნიერებაზე შექმნა უდიდესი პროგრესი, სულიერი და მატერიალური დოვლათი და ადამიანის მაღალი დაფასება და მისი პატივისცემა.

ჩვენც ქრისტიანული გაგებით ვეგებებით შობის დღესასწაულს და ყოველ ქართველს უსურვებთ მის მაღალ მოძღვრებასთან განუზიარებლობას.

**გ. ზალდასტანიშვილი**

---

„ვეფხისტყაოსნის“ გმირებში ქართველის გული ძგერს, მის გმირებს მაშინდელი საქართველოს საკითხები აღელვებთ.

**ივანე ჯავახიშვილი**

---

## საბჭოთა საქართველოში გრძელ დება მორწმუნეებთან ბრძოლა.

(გადაეცა „რადიოთავისუფლება“-ს მიერ)

ხრუშჩოვის გადაყენების შემდეგ, მორწმუნეთა წიაინაღმდეგ, საბჭოთა ჟურნალ-გაზეთები, იშვიათად ათავსებდნენ ანტირელიგიურ სტატიებს. მაგრამ უკანასკნელ ხანებში რელიგიასთან ბრძოლა კვლავ განაახლეს; თუ მცა საბჭოთა ხელმძღვანელები ამ ჟამად, ნაკლებად უხეშ ხასიათს აძლევენ და ე. წ. მეცნიერულ მეთოდს უქვემდებარაბენ, მაგრამ რელიგიის დევნის ფაქტი, მაინც ფაქტად რჩება და ის უკვე დაიწყო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „კომუნისტი“-ში მიმდინარე წლის ივლისში გამოქვეყნდა წერილი: „ათეისტურ პროპაგანდას შეუნელებელი ყურადღება და მისი ფართო გაშლა“.

სტატიის ავტორი დ. დიასამიძე მოგვითხრობს: „საბჭოთა კავშირმა, და კერძოდ საქართველომ, გიგანტური ნახტომი გააკაეთა კულტურისა და მეცნიერების მწვერვალებისაკენ; მოისპო ძველი, ჩამორჩენილი და დამკვიდრდა ახალი, სოციალისტური ყოფა-ცხოვრება. აღიზარდნენ სრულიად ახალი, განათლებული, კულტურული, მორალურად მტკიცე და ფიზიკურად ჯანმრთელი ადამიანები, რომლებიც წარმატებით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას. ჩენს ქვეყანაში დიდი ხანია ლიკვიდირებულია რელიგიის სოციალური ფესვები; საბჭოთა ადამიანები მასობრივათ ჩამოშორდნენ რელიგიას, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, რელიგიური გადმონაშთები მაინც შემორჩენილია“. ასე იწყებს დ. დიასამიძე თავის სტატიას, მაგრამ შემდეგ, მთელი სტატიის გასწვრივ, სულ იმაზეა ლაპარაკი, რომ ეს სრულიად ახალი, განათლებული, კულტურული მორალურად და ფიზიკურად მტკიცე და ჯანსაღი ადამიანები ეკლესიებში დადიან არა მარტო რელიგიურ დღესასწაულებზე, არამედ საქმის დღეებშიაც. დიასამიძეს სასაცილოდ არ ჰყოფნის და უკვირს, რომ ჩვენს საუკუნეში, როგორ შეიძლება ადამიანს სწამდეს სასწაული, აწყობდეს შობა-აღდგომას და ასრულებდეს სხვადასხვა რიტუალებს, რომელსაც კომუნისტური მშენებლობისათვის დიდი მავნებლობა მოაქვსო. ამიტომ პარტია მოითხოვს ათეისტურ პროპაგანდის გაძლიერებას. მას არ შეუძლიან გულგრილად უყუროს ამ ამბავს. „რელიგია, როგორც ანტიმეცნიერული იდეოლგია,—ამბობს დიასამიძე— უბრძოლველად არ დასთმობს თავის პოზიციებს. ამიტომ მას უნდა დაუპირისპიროთ მებრძოლი, შემტევი მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდაო“

დიასამიძეს სტატიიდან ეს ამონაწერი გვიჩვენებს, რომ საბჭოთა სამყაროში, საბჭოთა ადამიანები, მასობრივათ არ ჩამოშორებია რელიგიას. სხვანაირად დიასამიძეს და მის პარტიას, აღარ დასჭირდებოდა რელიგიის წინაამდეგ ახალი შეტევის დაწყება! შეტევა კი აუცილებელია, რადგან, თურმე „რელიგია თანდათან იზიდავს ახალგაზრდობას“.

ორმოცი წელიწადი გრძელდება რელიგიასთან ბრძოლა. ამ მანძილზე სარდაფები გაივსო ათეისტური მასალებით. პროპაგანდა-აგიტაციის გარდა, რელიგიასთან ბრძოლაში, საბჭოთა ხელისუფლება პოლიციურ-ადმინისტრაციულ ზომებსაც მიმართავდა. მორწმუნეთა დევნა, ეკლესიის მსახურთა დაპატიმრება-გაციმბირება და ეკლესიების დახურვა, ჩვეულებრივი ამბავი იყო. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, თურმე ურემი დღესაც იქა დგას, საიდანაც დაიწყეს. დიასამიძეს განცხადებით, საბჭოთა ხელისუფლება პოლიციურ-ადმინისტრაციული ზომების მიღების წინააღმდეგია. ის მორწმუნეთა რელიგიურ გრძნობებს თურმე შეურაცყოფას აყენებსო. ამიტომ, მასთან ბრძოლის ერთად-ერთი მკვეთრი საშუალება საბჭოთა ბიოლიოგა, ასტრონომია, და საზოგადოებრივ მოვლენების და ბუნების მატერიალისტური ახსნა არისო.

ვფიქრობთ ესეც არა საიმედო საშუალებაა. არა საიმედო, რადგან საბჭოთა ბიოლოგიას არასოდეს არ გაუცია პასუხი ბიოლოგიის ძირითად ფილოსოფიურ საკითხზე: რით აიხსნება მატერიის უმაღლეს ორგანიზებულ ცხოვრებისაკენ მისწრაფება? უპასუხოთ დატოვებულია აგრეთვე მეორე კარდინალური საკითხიც: რამ აიძულა მატერიალური სამყარო დამორჩილებოდა კანონებს, რომლებსაც კანონმდებელი არ გააჩნია?

დიასამიძე ლალად მოგვითხრობს, რომ კომუნისტი მიქელაძე და ზოგიერთი სხვა კომუნისტი, მორწმუნე აღმოჩნდა. ის პარტიიდან გაუძევებიათ. მაგრამ კომუნისტი მიქელძე საბჭოთა ინტელიგენტია, საკმარისად იცნობს მარქსიზმ-ლენინიზმს, კითხულობს გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, პროპაგანდას ყურს უგდებს და მეცნიერების მიღწევებსაც თვალს ადევნებს, მხოლოდ მისი რეაქცია არა ატეისტურ-კომუნისტური, არამედ რელიგიურია.

ახალი აღმოჩენები ფიზიკაში, მიღწევები მეცნიერებაში არწმუნებს მას, რომ რამდენადაც ფართოვდება ადამიანის მეცნიერული ცოდნა, იმდენად უფრო ვრწმუნდებით, რომ ბუნებაში არის „ბრძნული საწყისი“—კანონმდებელი, ქვესაყრდენი მსოფლიოსი და კოსმიური განვითარების რთული პროცესების ხელმძღვანელი. ეს “ბრძნული საწყისი“ და კანონმდებელი კი არის ღმერთი.

მიქელაძეს და სხვა კომუნისტებს, რომლებიც ბავშვებს ჩუმათ ნათლავენ, ეკლესიაში მორიდებით დადიან, სწამთ ღმერთი; ეს რწმენა მათ სჭირდებათ თავიანთი ადამიანური ღირსების და პიროვნების დასაცავად.

ზოგჯერ ადამიანის სიამაყე ბადებს მასში ღვთაებისადმი რწმენას. ეს სიამაყე უკარნახებს ადამიანს არსთა გამრიგეს გარდა არავის და არაფერს ემონოს და ეთაყვანოს.

დიასამიძეს განცხადება, რომ ღმერთის არსებობის რწმენა მონათ ხდის ადამიანს და სულერად ამწირებს მას, წყალ-წყალა დეკლარაციაა. მიქელაძისათვის კი, პირიქით, „მე“ ადამიანი მდიდარი ვარ იმით, რომ ღმერთი არსებობს. მე ვიქნებოდი სულით ღატაკი და მწირი, თუ მხოლოდ მე ვარსებობ და ჩამზე უფრო მაღალი არაფერი აღარ არსებობს ამ ქვეყნად. მართლაც ეს ქვეყანა საშინელებად მოგვეჩვენებოდა, თუ მის გადაღმა რაიმე საიდუმლოება არ გვეგულებოდეს. ქვეყნის ღირებულებათა მარაგი, სიბნელით მოცული კოშკი იქნებოდა მის ზედაპირზე ამ საიდუმლოების სხივი რომ არ გადაჰკრავდეს.

სწორედ მარადიულზე და არსთა გამრიგეზე ფიქრს შეუძლია გამოიწვიოს ადამიანში აღმაფრენა, მისცეს მას იმპულსი დიდ, საგმირო საქმეთა გასაკეთებლად. ათეიზმი კი, მეტად ტრაგიკული და ანტისოციალური მოვლენაა. ის ხელს უშლის სულიერ წინსვლას და ადამიანში ბადებს უიმედობის და უმიზნობის აზრს და აძლიერებს სიკვდილის ტრაგედიას.

ასე ფიქრობენ მიქელაძეები. მათ სწამთ ღმერთი, ერთად ერთი საწყისი, რომელსაც შეუძლიან იხსნას და დაეხმაროს მათ თავიანთი ადამიანური ღირსების შენარჩუნებაში, რომ ადამიანმა ადამიანად იგრძნოს თავისი თავი.

ასეთი მორწმუნე მიქელაძენი საქართველოში ურიცხვია. ამქვეყნიური სამოთხის დაპირებებით და საბჭოთა მეცნიერების დასკვნებით მათი დამშვიდება—სიზიფის შრომაა.

---

„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!...“ ამ სიტყვებში იხატება მთელი საქართველოს თავგადასავალი. ეს იყო ჩვენი ძველების აღსარება და მათი ფარ-ხმალი...

დედები ამ სიტყვებით უღებდნენ თავის შვილს პირველად ძუძუს პირში, ამ სიტყვებში ადგშევინებდნენ ენას, ამ გრძნობით ამღერებდნენ და ამ სასოებით ალოცებდნენ.

**აკაკი წერეთელი.**

---

შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო — იგივე „ვეფხისტყაოსანი“.

**ვაჟა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზარზმის კედლებში

(მოთხრობა)

(დასასრული. იხ. „ქ. ა“. № 75)

„ყველაის ზეით, მთაში არს ზარზმის მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, მშვენიერს ადგილს და აწ უქმი“.

**ვახუშტი.**

ჰასან მაისურაძე და კუკური მაყაშვილი დამეგობრდნენ. კუკური მორჩებოდა თუ არა გაკვეთილებს, მოხუცთან აირბენდა. მოხუცი კიდევ ლობიოს საჭმანდს დაახვედრებდა და ახალმოსულ ხახვის ძირებს თავის შვილობილს. ორივე ერთად იქვე მონასტრის ეზოში ბუჩქებთან შეექცეოდნენ საჭმელს. ნასადილევს კმაყოფილი მოხუცი მოჰყვებოდა ლარივით გაბმულ ღიღინს.

ჰასანი და კუკური შვილივით უვლიდნენ ზარზმას: ჰასანმა თავისი ხარჯით კირი და ქვა მოზიდა. მაყაშვილმა ასეული ყავარი იყიდა და სხვა საჭირო მასალა. კედელი შიგნით და გარედ აგერ-აგერ გალესეს. ხატებსა და ნახატებს არა ავნეს რა. ჰასანმა ეზო-გარემო მოასუფთავა, ბალახ-ბულახს ძირი ამოუგდო. უხსენებლის საბუდარი ამოჰქოლა. თუ წინედ მოხუცი თვეში ერთხელ ამოდიოდა ზარზმის მონასტრის ეზოში, ეხლა ბინაც იქ დაიდვა...მის ახლოს პატარა ფიცრული გამართა. ნაშუალამევს, ძილგატეხილი მოხუცი წამოდგებოდა ხოლმე და მის გუმბათს შესცქეროდა მთვარის შუქზე. ზარზმა უყვარდა მოხუცს და კუკურიმ უფრო შეაყვარა ის.

—მითხარ მოხუცო, რად ევლები ხოლმე ეგრე ზარზმას?

ჰკითხა კუკურიმ როცა მასთან ამოვიდა გაკვეთილების შემდეგ.

—აი შვილო რათა. ეს ადგილი ზარითა და შიშით არის აგებული...ამიტომ დაერქვა მას ზარზმაი. ქართველ ბერებს, ცხოვრებისაგან განდგომილთ, საქართველოს უშენ და ურან კუთხეებში უშენებიათ ეკლესია-მონასტრები. ამ უგზოუკვლო ადგილებში გზები გაკეთდა, გაუვალ ტყეებსა და ციცაბო მთის თავზედა ხელუქმნელი შენობები აიგო; მაგრამ დღეს შვილო ყველაფერი განავარდა, გატიალდა, რადგან გახავარდა, გატიალდა კიდეცა!

ამოიოხრა მოხუცმა. ძველი წარმართივით ცას შეევედრა: ნუ მოუვლენო ზარზმას რისხვას. ეყოფა რაც მას თავს გადახდაო. შესთხოვდა ზეცას და თავს მიწას ახლიდა. თითქოს ის ყოფილიყოს ზარზმის ავბედობის მიზეზი.

—შვილო, ეკლესიის შენებას რომ შესდგომიან სერაპიონ კლარჯს და სხვა ძმებს შორის ცილობა ატყდა, და თუ ატყდა ცილობა, დავაც მოჰყოლია. უდავიათ თუ სად უნდა აეგოთ ეკლესია. სერაპიონს უნდოდა უმაღლეს ბორცვზე აეგო, მაგრამ მას სხვა ადგილი შესთავაზეს... ვერ შეთანხმდნენ თურმე შვილო და ამ საქმის გადაწყვეტა ღმერთს მიანდვეს!

„აღავსნეს ორნი კანდელნი სწორითა ზეთითა და დადგნეს ადგილთა მათ ცილობისათა!—ხოლო ვითარცა განთენა, იხილვა დავსებულად კანდელი იგი სერაპიონისაი, ხოლო კახდელი იოვანესი ბრწყინავდა ვიდრე შუასამხრამდე...ეს რა იხილეს, ყოველთა დაამტკიცეს რათა მუნ იწყონ შენებად ეკლესიისა“.

მაყაშვილის წინ მართლაც სერაპიონი ზარზმელი მდგარიყოს, ისე ჰყვებოდა ზარზმის ამბავს მოხუცი ჰასან მაისურაძე, ზარზმის მკვიდრი, მისი მეკლიტული, მისი ავისა და კარგის მნახველი.

კუკურის მოხუცის მონათხრობი ჰხიბლავდა მეტად.

—მიამბე კიდევ რამე ტკბილო მოხუცო!

—თამარი წინედ აქ განისვენებდა, მაგრამ თათრობა დათარეშობდა და რადგან დათაეშობდა სამცხის ათაბაგმა იმერეთს გადაასვენა. მისი ცხედარი გელათს მიაბარა. ცხედარს ათაბაგმა ყალამქარი გაატანა, ერის გულით ამონაქარგი. ძვირფასი განძეული, ოქროვერცხლით ნაქარგი. თათრებმა ააოხრეს თურმე მაშინ მესხეთი და რადგან ააოხრეს, ხოდაბუნები მურტლიანი ფეხით გადათელეს და ხანძარი მძვინვარებდა ჩვენს ნაფუძვრებშია. ღვინო აკრძალეს და ვაზები ამოსწვეს შანთით. დაგვავიწყდა შვილო, თუ როგორ ჰხარობდა ჩვენში ვაზი და ყურძნიდან ღვინოს როგორ წურავდნენ... დაგვავიწყდა შვილო ნათელმირონიც... ყიზილბაშებმა სულიც ამოგვართვეს.. ძალით გათათრებული მესხები, ერთხანს ბავშვებს ჩუმად ნათლავდნენ ყანებში...მუშაობის დროს აკვნით ბავშვი ბაღებსა და ყანებში მოჰყავდათ, ჩუმად მღვდელი გამოიარდა და ბავშვებს ანათვლინებდნენ... ძალთაპირებისათვის ეს შეუმჩნეველი როდი გახდა, სასტიკად სჯიდნენ ამის ჩამდენს...ასახლებდნენ, სახლკარს ართმევდნენ...

კუკური გულდასმით ისმენდა მოხუცის მონათხრობს. ჰასანმა კვლავინდებურად ამოიოხრა, გულზე ხელი დაიკრა და აღელვებული, თითქოს მოსთქვამსო, განაგრძობდა:

—ჰოდა, ალმოდებული სოფელი ძაღლების ზმუილმა აიკლო, ჯერ რომელიმე ქოფაკი წამოიყეფებდა, მისი ხმა ზარივით მოისმოდა სოფელში... მის ხმას ბანს მისცემდა მეორე უფრო მიმყოლი ხმით...შემდეგ მესამე.. მათი ხმა სოფელს შორდებოდა და მთის კალთებზე იფანტებოდა. თათრების ცხენოსნებმა შემოიქროლეს სოფელში. დედაშობილა ბავშვები ფეხებში უვარდებოდნენ და სულს იქვე ლევდნენ. წყევა და ურვა იყო მოდებული ჩვენს გულში. ამ დროს ვიღაცამ დაიძახა: „სასწაული, სასწაული!“. ხალხმა ფერდობისაკენ გაიხედა. ფერდობიდან კიდევ თმა გაჩეჩილი თეთრწვერა მოხუცი მოჩანჩალებდა კომბლით ხელში. იგი ზვავივით აღიმართა თათრების წინ. ზეცად ხელები აღაპყრო და დაიყვირა: თქვენს ნახელარს მაღლით ალაჰი დასცქერის და გოდერძიდან კი, თამარ-მაღალი. ძრწოდეთ გიაურებოვო მის ლაშქართან და მთის წვეროსკენ ხელი გაიშვირა. მთის წვერზე თამარის კოშკი მაღლიდან გადმომდგარიყო. თათრებმა რაზმი აფრინეს სროლითა და ვაებით. მათი ფეხის ნატერფალი შარაგზაზე ლეგაღრუბელივით ეფინებოდა. კოშკს რომ მიუახლოვდნენ, ცხენები აჭიხვინდნენ და ადგილიდან არ დაძრულან... იგი თამარის ძალი იყო, ბილწები ახლოს არ გაიკარა!

კუკურის ხმა არ ამოუღია, ჰასანი კი კვლავ განაგრძობდა თხრობას:

—მჯერაო, სთქვა მაშინ თმაგაჩეჩილმა მოხუცმა, დადგებაო ჟამი განკიცხვისა... ჟამი საზარი, დაივიწყებენ ძველ სალოცავებს, ფეხით გათელავენ მის სიწმინდეს... მამაპაპათა საფლავებს დაიტირებენ მკრთალი ლანდები და განთიადისას ცის კაბადონი ლეგაღრუბლებით შეიმოსებაო!“

გვიან ღამით, ბეუტავ ჭრაქის ქვეშ განაგრძობდა თხრობას მოხუცი.

—ზარზმა ამის შემდეგ განავარდა თათრობის გამო. ეკლესიის ნივთები და მთავარი ხატი გურიას გადახიზნეს ათაბაგებმა. იქ აუგიათო ახალი ეკლესია და ზარზმა რქმევიაო მას!

გვიან ღამით გამოემშვიდობა კუკური მოხუცს. გზაზე მავალი შესცქეროდა ზარზმის მონასტერს. გალესვა მოხდენოდა ზარზმას, პატარძალივით კოხტაობდა მთვარის შუქზე.

* * *

კუკური მაყაშვილი ჩვეული გარჯით საქმობდა. მაზრის წარჩინებულ ადამიანებში გარიეს, წითელ დაფაზედაც მოხვდა, მაგრამ უცბად წაშალეს... ვიღაცამ უხელთა, დრო უშოვა.

ერთხელ კუკური მაზრკომის მდივანმა ლეშქაშელმა გამოიძახა. როსტომ ლეშქაშელს კუკურის გარჯილობა ახარებდა, მაგრამ არ დაიახლოვა იგი, თითქოს უცხო ყოფილიყოს მისთვის.

—როსტომ შენი ჭირიმე!

შესძახა კუკურიმ კაბინეტში შესვლისთანავე.

—შენ დაგენაცვლე!

იმავე გრძნობით შესძახა როსტომმაც და გულით გადაეხვივნენ ერთმანეთს სიყრმის მეგობრები.

—როსტომ გვეშველა შენით...მესხეთში ოდნავ მაინც ტრიალებს ქართული სული, თუმცა უცხოდ მოსულნი ახშობენ ამ სულს!

კუკური ენდობოდა როსტომს და გული გაუხსნა.

—ქართული სული მაინც კვნესის მესხეთში როსტომ! სკოლებში ჯერ კიდევ თურქებად ზრდიან მესხებს და ვინაობას ავიწყებენ. ქართული გვარები ოვებად გადაუკეთეს, ბარათაშვილები ბაირათოღლებად ინათლებიან. მესხეთს უცხოური ტალავერით მოსავენ...მესხეთი გადასულია...მიხედე როსტომ, ქართველი არა ხარ კაცო! თითქოს ვედრებით ელაპარაკებოდა იგი მეგობარს.

—მართალი ხარ, მაგრამ ძალი უნდა შეგწევდეს ქადილისა. დღეს მაზრის ხელმძღვანელი ვარ, ხვალ კიდევ ვრდომილი. დილეგის კერძი. ასეთია სამართალი დღეს. ვიცი: ქართული სული კვნესის, მაგრამ შეძლებისდაგვარად უნდა მოვლა და არა ჯიქური მისვლით!

მიუგო როსტომმა.

—იცი რად დაგიბარე?

სთქვა ცოტა ხნის შემდეგ როსტომმა.

კუკური შეკრთა. შიშის ქარმა აიტანა.

—ნუ ჰკრთი...ვიცი გეშინია. ჩვენ ყველას გვეშინია...შიშმა შეჰქმნა უნდობლობა.. ადამიანი აღარ არსებობს...ის მანქანათაა ქცეული და უამრავ მანქანას შიში ამოძრავებს...ეხლა მისმინე მეგობარო! შენი აქ გაჩერება არ იქნება, დაგდევენ...დასტადასტად მომდის ქაღალდები, განდგომილიაო...ერთი წელიწადია ხელს გაფარებ, ეხლა მეც დავუძლურდი!

კუკურის სუდარის ფერი ედვა სახეზე.

—ალბად არაქელოვის მოჩმახული იქნება!

—არაქელოვი ბუზია ჩემთვის. მას წიწილასავით გავგლეჯ, მაგრამ რამე რომ მოხდეს? ვთქვათ მე არ ვიქნე, მაშინ? მარტოდ შთენილს მოგერევიან!

—მაშ სად წავიდე როსტომ, ჩემს ქვეყანაში არ მაყენებენ?

—ჩვენი ქვეყანა ჩვენ არ გვეკუთვნის, დღემდე ვერ გაიგე?

კუკურის ტანში შეაჟრჟოლა.

—მაშ ვის ეკუთვნის როსტომ?

—იმას ვინც მომრევია!

მიუგო როსტომმა და განაგრძო: გესმის რას გირჩევ? ხომ მენდობი!

—გენდობი!

—წადი საზღვარგარეთ, მიენდე ბედს!

—როსტომ?

გაოცებულმა ზე ახედა.

—წადი გაეცალე აქაურობას. ხომ იცი: „სადაც არა სჯობს...“ შენ საჭირო ხარ ჩვენი ქვეყნისათვის. აქ კი დაიღუპები!

—ხომ არ მცდი როსტომ?

—ჰასან მაისურაძეს ხომ იცნობ?

—რად მეკითხები ამას!

—ჩვენი კაცია!

—როგორ თუ ჩვენი, არაფერი მესმის!

—ის დაგეხმარება!

როსტომმა კაბინეტში გაიარგამოიარა. ფანჯარაში გაიხედა. შორიდან; მთვარის შუქზე მოსჩანდა ივლიტას მაღლობი და ამ მაღლობზე ახალციხის კოშკი ხუთქიმიანი ვარსკვლავით. როსტომი კუკურის პირისპირ დაღგა და ცოტა დუმილის შემდეგ ჰკითხა.

—ჰასან მაისურაძეს მიენდე!

—მეგობარია ჩემი!

—ვიცი, გამიგია!

—ვინ გითხრა?

—არაქელოვმა ჩამიკაკლა!

კუკური შეფიქრდა.

—ჰასან მაისურაძე შემჩნეული ხომ არ არის არაქელოვის თვალში?

ჰკითხა კუკურიმ.

—არაქელოვს მისი ეშინია!

მიუგო როსტომმა.

—როგორ?

—ჰასან მაისურაძე სოფლის სული და გულია. გარედნავალი კაცია, წინდახედული, ბევრის მნახველი და მომსწრე! ჰასანმა კარგად იცის არაქელოვი რა ოხერ-მუდრეგია. ეს არაქელოვმაც იცის, ამიტომ ფიანდაზად ეფინება მას. დღელამ ჰასანის ქებაშია არაქელოვი.

—შიში შეიქმნს სიყვარულსაო!

—უკვდავი სიბრძნეა!

მიუგო როსტომმა და კუკურის მიმართა!

—მაშ ასე, მშვიდობით კუკური. წადი საზღვარგარედ, ახალ ცხოვრებას თვალში შეხედე, ნუ გეშინია, ქვეყანა ღონიერია!

—როსტომ, აბა უცხოეთს სადა ვპოვო ჩემი ქვეყნის სადარი. უდეგივით სად გავიჭრა. რა არის ადამიანი უსამშობლოდ როსტომ... არის განა გაზაფხული ბულბულის გარეშე?

—ვიცი... მაგრამ!

ყველაფერი ნათელი იყო. მაშ ახალი გზა, გზა შორეული, გზა უცნობი. გამომშვიდობისას კვლავინდებურად ერთმანეთს გადაეხვივნენ სიყრმის მეგობრები.

—კუკური, შენ უკვე საქართველოს მიჯნას იქნები კარგად გაცილებული და მე ბრძანებას გავცემ არაქელოვს შენს დასაპატიმრებლად... ეს იქნება ჩემი თავდაცვა!

★

იმ ღამეს კუკურის მშვიდათ არ უძინია. გაგონილი და ნახული ერთად აეხლართა. ფიქრებმა შორს გაიტაცეს ყმაწვილი. რა ვაკეთო საზღვარგარედ, ვისთან მივიდე, ვინ შემიფარებს, რა უნდა ვაკეთო უცხოდ შთენილმა, სამადლოთ ხომ არ გავიწვდი ხელს? ამოიოხრა ყმაწვილმა. ეჰ, როგორ ყაჩაღივით ამედევნა ბედი ულვთო. ჩქარა წავიდე ჩემს ჰასანთან, თორე ასე მგონია ვიღაც დამსდევს გახელებით, ჩქარა, ჩქარა, უნდა გავშორდე აქაურობას...

ჰასან მაისურაძისაკენ გაემართა კუკური მაყაშვილი. უმალ ზარზმას მიაკითხა, თავის პატარძალს. თითქოს დაბარებული ყოფილიყოს, ჰასან მაისურაძე მის წინ მოლანდებასავით აღიმართა. კუკური მონასტერში შევიდა. დაემხო იატაკზე. მერმე ხელები მაღლა აღმართა. ჰასანმაც შორიდანვე მუხლები მოიდრიკა. ახალგაზრდას მიჰბაძა თუ მაჰმადს განუდგა, ეს მხოლოდ მისმა გულმა იცის.

—ზარზმავ გტოვებ საყვარელო...სთქვა კუკურიმ და მის კედლებს მოეხვია. გიჟივით კოცნა დაუწყო მას...შემდეგ გარედ გამოვიდა, მიწა ხელით აჩიჩქნა, ხელცახოცში გახვია და მოწიწებით ჯიბეში ჩაიდვა. ჰასანი ყველაფერს თვალყურს ადევნებდა და მოხუცს გული ეწოდა კუკურის საცოდაობით.

—ევედრე ღვთის მადლსა, შენს წმიდა ლოცვას ღმერთი გაიგონებს, გაიგონებს და იგი იქნება შენი მფარველი!

სთქვა მოხუცმა და ჯიბის ქექვა დაიწყო.

—ეს შანა თან იქონიე, თან იქონიე და გაჭირვებაში დაგეხმარება... ნაკურთხია!

შავს ტყავში გაკერილი კისერზე შეაბა მოხუცმა კუკურის. კუკურიმ მადლობა გადაუხადა და შუბლზე აკოცა.

—აი კიდევ მეორე შენი მფარველი...მუდამ იგულვებდე, რადგან შენი მცველია!

მოხუცმა ეხლა ჯვარი შეაბა კისერზე და აკოცა.

—იკურთხე შვილო... იყავ მზეგრძელი.. ალახი იყოს შენი შემწე...გაჭირვების დროს თამარ პირიმზეს იგონებდე და ჯვარცმულ ღმერთს!

—ჰასან, ტკბილო მოხუცო!

აღმოხდა გულიდან კუკურის.

* * *

მზე ჩაესვენა... მიილია ბინდი ღამისა.. ნაშუაღამევს ჰასან მაისურაძე და კუკური მაყაშვილი გარედ გამოვიდნენ. ღამე მუნჯი იყო და დამურული. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. უკუნით ღამეში ზარზმის მონასტერი აღარ ჩანდა.

უკუნით ღამის გზას გაუდგნენ მიჯნისაკენ.. წინ მგლური ნაბიჯით მიემართება ჭირს გამოვლილი, მაგრამ ჭირში სალიკლდეთ ქცეული მოხუცი ჰასანი და მას მიჰყვება სევდაამლილი ჭაბუკი. ჰასანი წინ მიდის, ამ წყვდიად ღამეში კუკური მას ვერ ჰხედავს, მაგრამ ნებდება მის ნებას და მიაპობს სევდიან ღამეს.

კუკური შედგა. ბნელში მოხუცს ხელები მოხვია და გულსაკლავად აქვითინდა. კუკურის საცოდაობით ქვაც კი ატირდებოდა.

ყმაწვილს არ ემეტებოდა სამშობლოს დატოვება და სიბრალულის ხმით თავს აევედრებდა მოხუცს... სთხოვდა უკან დაბრუნებას. დეე, რაც მომივა, ჩემს სამშობლოში მომივიდესო, მაგრამ გამოცდილმა მოხუცმა არ აცალა... გარნა გულში იწვოდა კუკურის საცოდაობით. თითქოს ულმობელი გამოდგაო კეთილი ჰასანი და ბრძანების კილოც მოიშველია.

—ზედმეტი ლაპარაკი მხოლოდ საქმეს ავნებს შვილო... ეხლა მაგის დრო არ არის, რადგან დრო არ არის მას ნულა უცდი... უნდა წახვიდე, რადგან წასასვლელი ხარ!

ფრთხილი იყო ფხიზელი მოხუცი. საბჭოთა მონაპირენიც არ აღმოჩნდნენ ვალში და ცეცხლგადამღობი სროლა ასტეხეს. დაგეშილი ძაღლებიც არ დაიშურეს მათთვის, მაგრამ ჰასან მაისურაძე მათზე დაგეშილი გამოდგა.

—ქალის მანდილი დამხურეთ, თუ ხელთ ჩაიგდეთ თავი, თქვე ურჯულოებო!

სთქვა ჰასანმა. კუკური მიჯნას გასცილდა.

—სდექ, ვინა ხარ?

გადაეღობა წინ მიჯნის მცველი, თურქი მონაპირე.

—ვინა ხარ მეთქი?

გაიმეორა თურქმა.

—გურჯი!

—გურჯი?

გაიმეორა თურქმა მონაპირემ ნათქვამი და თოფი ძირს დაუშვა.

ჰასან მაისურაძე კი, კვლავინდებურად შვილივით უვლიდა ზარზმას და კუკური მაყაშვილის ბედს ავედრებდა მაღალ ღმერთს.

**მინდია ლაშაური.**

# ქართველი ქალი ჩვენს მატიანეში

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი“ № 75)

მალე საქართველო-სპარსეთის ურთიერთობა გამწვავდა. გახშირდა ძლიერ მეზობლის თავდასხმები; მამაკაცობა მთლიანად ამ ომებშია ჩაბმული, ქალები კი ოჯახს მიჰყოფენ ხელს და სამოქალაქო წესების შემუშავება-განმტკიცებაც მათი საქმე ხდება. ამავე დროს ერის სწავლა-განათლებასაც ისინი უძღვებიან და მომავალ თაობას ზრდიან: „ხოლო მისცა მეფემან მირდატ ძე თვისი ვახტანგი საურგამ სპასპეტსა აღსაზრდელად, რამეთუ წესი იყო რათა შვილნი მეფეთანი წარჩინებულთ სახლსა იზრდებოდენ...“ ეს ძველებური აღზრდის წესი იმაში გამოიხატებოდა, რომ დედაკაცნი მათ წერა-კითხვას ასწავლიდნენ, ხოლო მამაკაცნი სამხედრო ცოდნას. არა მარტო საერო საქმისათვის წვრთვნიდნენ ქალები ყმაწვილთ, არამედ, ხშირად, მაღალ სასულიერო ხარისხისთვისაც. მაგ. ჩვენი სახელოვანი გიორგი მთაწმინდელი, „ქართლის ცხოვრების“ მოწმობით, იზრდებოდა სამცხეს ტაძრის დედათა მონასტერში და იქ მას წრთვნიდა; ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას, დავითნს, სახარებას და სხვას, მისი მამიდა თეკლე. ხოლო შემდეგ, როცა მან პირველი საფეხურის სწავლა დაამთავრა, ის მიაბარეს ბერ ილარიონ თუდაელს და შემდეგ კი ფერიზა ჟოჟიკას. ამ უკანასკნელის მეუღლემ გამოიჩინა გორგი მთაწმინდელის აღზრდაში განსაკუთრებული მზრუნველობა. მან ის თვითონ წაიყვანა კონსტანტინოპოლში და იქ მიაბარა საგანგებო მასწავლებლებს ფილოსოფიისა და საერთოდ მეცნიერების დარგიდან. გიორგი ამ ქალის ახლო დახმარება-ხელმძღვანელობით იწვრთნებოდა 11 წლის განმავლობაში. „თითქმის არა გვყავს“, ამბობს დ. ჯანაშვილი, „არც ერთი სახელოვანი მეფე, რომელსაც წიგნი დედაკაცისაგან არ ესწავლოსო, რომ მის გონება გახსნილობის და პოლიტიკურ მჭვრეტელობის ფესვს მათს გვამში დედაკაცების მეცადინეობით არა ჰქონდეს გადგმული“.

გავყვეთ მატიანეს ცნობებს. მეფე ვახტანგ გორგასლანი მოქმედებს თავის დედის საგდუხა დედოფლის და დის ხვარამზეს სწავლა-დარიგებით, ოსეთზე დიდი ლაშქრობის სამზადისის წინ წარსდგება მეფის წინაშე სპასპეტი ჯვანშერ და მოახსენებს: „კითხვითა დედისა შენისათა გამოირჩიე ერთი, ვინ ჩვენთაგანი იქნება წინამძღვრად სპისა ჩვენისაო“... და სხ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამ ბჭობის შედეგად ვახტანგმა მაინც ამჯობინა თვითონვე გაძღოლოდა ჯარს და სამეფო საქმეები, დროებით, სხვისთვის გადაეცა. „ქართლის ცხოვრება“ განაგრძობს: „შეჰკრიბა რა ვახტანგმა ასი ათასი მხედარი და 60.000 ქვეითი განვიდა ქალაქით და განასხნა სპანი მისნი. მოეწონნეს სიმრავლითა, ცხენკეთილობითა და მოკაზმულობითა და იხილა ყოველნი იგი მხიარულად და ალძვრიდ... და ამის შემდეგ დაუტევნა განმგებლად სამეფოსა მისისა დედაი მისი სადგუხტ და დაი მისი ხვარამზე და დაწერა ანდერძი ესე: უკეთუ არღარა შემოვიქცე ცოცხალი დაი ჩემი ხვარამზე შეირთოს მიხრან და განაგოს მეფობაო...“ ამით ვახტანგმა სამეფოს ბედი ფაქტიურად თავის დას გადასცა გამოცდილ და ჭკვიან დედის ხელმძღვანელობის ქვეშ. ეს საყურადღებო ანდერძი მეფემ „დედასა მისსა მისცა და სხვასა არავის აუწყა“. დაბრუნდა კავკასიიდან გამარჯვებული მეფე და თავისივე დედის რჩევით მოიყვანა ქალი, ასული სპარსეთის მეფისა ბალენდუხტი. საყურადღებოა, რომ მეფეს თავისი სახელოვანი ომების და სხვა საგანგებო მოგზაურობის დროს ხშირად თან ახლდა და დარიგებას აძლევდა მისი დედა და და ხვარამზე, მაგრამ ვახტანგის დედა სხვაფრივაც ყოფილა შესანიშნავი: პლ. იოსელიანის მოწმობით სევდუხტ დედოფლის ბრძანებით ზოგი სალმრთო წიგნები გადათარგმნილ იქმნენ ქართულადო.

ასევე იყვნენ აღზრდილნი და გაწრთვნილნი სხვა მეფენი და წარჩინებულნი ღირსეულ ქალთაგან. ესენი მათ ასწავლიდნენ საეროსა და სასულიერო ძველ მწერლობას, შთააუნერგავდნენ მამულიშვილ გრძნობებს და ქრისტიანული კულტურის მაღალ მცნებებს.

ასეთნაირად ზრდიდა მეფე გიორგი პირველს მისი მამიდა გურანდუხტი. მეფე გიორგი მესამე აღზარდა დავით აღმაშენებელის ასულმა — თამარმა. თავის აღმზრდელი თამარი განსაკუთრებულად ჰყვარებია გიორგი მეფეს: მაგ. როცა მეფემ ერთხელ მუსულმანი ამირები დაამარცხა და ანის ქალაქში თავისი მომხრეები დანიშნა და უკუ იქცა, მას მიეგებნენ კათალიკოსი, წარჩინებულნი, მისი მეუღლე, დედოფალი ბურდუხან და გამზრდელი თამარ. ყველა ამათში მეფე პირველად მიესალმა და მოეხვია თავის გამზრდელ თამარსო, ამბობს მატიანე.

მართლაც ღირსეული ქართველი ქალები ყოფილან დავით აღმაშენებელის ასულნი თამარ და კატაი. გიორგი მეფის აღმზრდელი თამარი ცოლად ჰყოლია შარვან შახს, მაგრამ მუსულმანის ცოლობას თამარის გული არ შეუცვლია. ის ენერგიულად მდგარა მამა-პაპის რჯულზე და ნათესაობაზე. საკუთარ შვილს, ასლათანს ის საქართველოს და ქართველების სიყვარულში ზრდის და თბილისში საგანგებო სასახლეებს უგებს... ქმრის სიკვდილის შემდეგ მან „აღაშენა თიღვას ჯვარის მონასტერი, გუმბათიანი დიდ მშვენიერი, კეთილად ნაშენი და მრავალ შენობიანი. დ. ჯანაშვილის აზრით ამ „მრავალ შენობებში“ თამარს სკოლებიც უნდა აეგო. არა ნაკლებ შესანიშნავია დავით აღმაშენებელის მეორე ასული კატაი, რომელიც საბერძნეთში იყო გათხოვილი. ამანაც ქართულ წესზე აღზარდა თავისი შვილები და ბოლოს ქმრით და შვილებით დაბრუნდა კვლავ სამშობლოში, საცა გიორგი მეფემ მათ შესანიშნავი სასახლე აუგო. ესენიც სამუდამოდ აქ დამკვიდრდნენ და მათგან უნდა წარმომდგარიყო ანდრონიკაანთ გვარი. გიორგი მესამეს და რუსუდანიც შესანიშნავი ქართველი ქალია და თუმცა, შორს, მცირე აზიაში მაჰმადიან სულთანზეა გათხოვილი, მაინც სადაც და როგორც ხელი მიუწვდება, საქართველოს განმტკიცებისათვის იღვწის და თავის თანამემამულეებს დიდ დახმარებას უწევს. დაქვრივების შემდეგ ის საქართველოში ბრუნდება და მეფე გიორგი მესამეს ოჯახში მოღვაწეობს. ის გიორგის უზრდის მომავალ დედოფალს — ქართული ისტორიის სიამაყეს და მშვენებას — თამარს და მასთან ერთად თამარის მომავალ მეუღლეს, დავით სოსლანს. ვინ მოსთვლის რაოდენი კეთილშობილი გრძნობები და სიყვარული მამულისა და ერისადმი შთაუნერგა გულში ამ ქალმა მომავალ დედოფალს. ჩვენი მატიანეს მოწმობით რუსუდანი ფრიად განათლებული და მწიგნობარი ქალი უნდა ყოფილიყო, მცოდნე სხვადასხვა ენების ჩვეულებების. როცა გიორგი მეფემ 1162 წ. მცირე აზიის ემირები და სულთნები დაამარცხა, მაჰმადიან ქვეყნების თხოვნით მათთან გიორგის საზაო მოლაპარაკება უნდა გაემართა. მეფემ საქართველოს რწმუნებულად რუსუდანი წარგზავნა, რომელმაც მისია დიდის ჭკუით და გამჭრიახობით შეასრულა და სამეფოს საპატიო ზავი არგუნა. ამნაირად, რუსუდანმა, სხვა დანარჩენ თვისებებთან ერთად, შესანიშნავი დიპლომატიური ნიჭიც გამოიჩინა.

ასევე მაღალი ნიჭიერების და დიდი ბუნების ქალია ბექა დიდის, ჯაყელის ცოლი ვახახი. ვახახიმ და მისმა ასულმა ნათელამ აღზარდეს მეფე გიორგი ბრწყინვალე. როცა 1289 წელს მეფე დიმიტრი თავდადებული მონგოლებმა აწამეს, მაშინ, ჯერ მცირე წლოვანი გიორგი მისმა დამ ნათელამ გამოიტაცა და სამცხეში მიიყვანა. აქ აღზარდეს და გაწრთვნეს დიდმა ბექამ და მისმა მეუღლემ ვახახიმ გიორგი ბრწყინვალე. ვახახი საერთოდ დიდი კულტურის ქალი უნდა ყოფილიყო, რომელსაც თავისი ოჯახი სწავლულთა კერად გადაუქცევია. მას და ბექას მოუწვევიათ „თუ კი სადმე კეთილი და მოღვაწე და მეცნიერი ეპისკოპოზი გინა მონაზონი იყო...“ და ობოლთა, ულონოთა და სხვათა მსურველთათვის ასწავლებინებდა. თავის სასახლეში წერა-კითხვას. ამნაირად, შეიძლება ითქვას, რომ ამ ქალმა ერთი დიდი სასწავლებელი დააარსა თავის ოჯახში და ქმარის სიკვდილის შემდგომ კიდევ უფრო განაძლიერა ამ საქმისათვის ზრუნვა. ამ შესანიშნავ ქალს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, ეხლა კი მეფეების აღმზრდელთ შორის გვინდა დავასახელოთ მეფე ალექსანდრე პირველის მოჭირნახულე და გამზრდელი ბებია, ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე, რუსია, რომელსაც ასეთი თბილი და მაღალი სიტყვები უძღვნა ჩვენმა ისტორიკოსმა ი. ჯავახიშვილმა.

ამ ქალმაც დიდი ღვაწლი დასდო თავის სამშობლოს და თავის აღზრდილ ალექსანდრე პირველს მუდამ აქეზებდა ეკლესიების, მონასტრების და სხვა კულტურულ დაწესებულებების ასაგებად. თვით რუსაზე მემატიანე გადმოგვცემს: „ამან იწყო მრავლის ღვაწლითა და გულმოდგინებით აღშენება სღვეტისცხოვლისა... მაგრამ ვერღარა სრულჰყო აღშენება მისი და ალექსანდრემ დაამთავრა ისო..“

აი, ამ სახელოვან აღმზრდელთაგან ტრადიციულად წამოვიდა და განვითარდა ჩვენში ე წ. „ოსტატობა“, რაიც ქართველ ქალთა ხელში ყოფილა. ამის შესახებ საინტერესო წერილს გაზ. „დროებიდან“ ასახელებს დ. ჯანაშვილი. „ჩვენში“, ვკითხულობთ ამ წერილში, „ძველთაგანვე სწავლა-განათლების საქმე თითქმის ქალების ხელში ყოფილა. პირველნი გამავრცელებელნი წერა-კითხვისა ხალხში ქალები ყოფილან. ყველას ახსოვს ის დრო, როცა სოფელში და ქალაქებშიაც ზოგიერთ დარბაისელ დედაკაცებს სასწავლებელნი, პანსიონებივით ჰქონდათ გამართული და თვითეული ამათთაგანი ათს, ოცს და ხან მეტს შეგირდებს მიიბარებდნენ და წერა-კითხვას და სალმრთო წერილს ასწავლიდნენ... სულ ძველად ხომ ჩვენს ისტორიულს ცხოვრებაში, როდესაც კაცები: მამები, ქმრები და ძმები მუდამ ლაშქარში და ომებში იყვნენ მტრის წინაალმდეგ და სამშობლოს იცავდნენ, მაშინ გავრცელება ჩვენებურ წერა-კითხვისა და მწიგნობრობის საქმე ქალების მოღვაწეობით მიდიოდა და იმ დროს ჩვენში ქართული წერა-კითხვა უფრო გავრცელებული ყოფილა, ვინემ ეხლა არისო“.

ქალ-ვაჟთა სწავლის საქმეს ძველიდანვე უძღოდნენ ქალები და ხშირად უბრალო ქალებიც. აქედან წარმოსდგა გლეხობაში გავრცელებული ინსტიტუტი — „სადედო“. ეს სადედო იყო, ასე ვსთქვათ, ბეგარა, რომელიც სასიძოს უნდა ოსტატ ქალისათვის გადაეხადა. რომელმაც პატარძალი აღზარდა, მას ჭრა-კერვა, ქარგვა, საოჯახო საქმეები, დიასახლისობა და წერა-კითხვა ასწავლა. მთელი ეს ცოდნა და გამოცდილება ეხლა ემატებოდა და საძირკვლად ედებოდა ახლად დაფუძნებულ ოჯახს, რის გამო სიძეს ოსტატისათვის საგანგებო სანაზღაო ემართა. ამას ეწოდებოდა „სადედო“.

სწავლა-აღზრდის საქმეს ძველთაგანვე ფრიად საპატიო ადგილი სჭერია საქართველოში და ამ დიდ საქმეს, როგორც ვთქვით, უმთავრესად ქალები უძღოდნენ. იმის შესახებ თუ რას ასწავლიდნენ ქალს თუ ვაჟს საქართველოში, ჩვენთვის მდიდარი ცნობები დაუტოვებია არჩილ მეფეს. ეს სალმრთო და საერო „ზნეობანი“ მრავალია. მოვიგონოთ ზოგიერთი მათგანი: „შესაყრილობა, ალერსი, სიმღერა და დასდებელი, გარიგება, სუფრის დროს მის მის ალაგს დასხმა, ხილის დაჭრა, ბეჭის გათლა, ხუმრობა, სიცილი, საკრავი, ზაპი, ცეკვა, სამაი, ჯუბანა, ტანსა და ფეხსა გაწყობა, მხედრობა, ჯირითობა, მცურაობა, მოტირლობა, გლოვა, ჭადრაკის მღერა, ნარდისა და სადის სროლა, ნადირობა, ისრის თლა, ხმლის ცემა, ცოდნა ტოლთან, მეგობართან, უმცროსთან, მასპინძლობა, სტუმრობა, მეჯლისობა, პურადობა, რაზმობა, ჩაცმა-დახურვა, მიხვრა-მოხვრა, შესვლა-გამოსვლა, მიწოდება და ბაასი.. და სხვა მრავალი. ამას ერთვის მწიგნობრობის დასწავლა, მეცნიერების სხვადასხვა დარგი: ფილოსოფია, მკურნალობა, რიტორობა, ღრამატიკა, ქვეყნის ზომვა, ვარსკვლავთრიცხვა, სიტყვის შეთხზვნა, ხელოვნება და ყველაფერი ის, რაც ახასიათებდა ძველ ბერძნულ სიბრძნეს და მცოდნეობას“ არჩილის აზრით უნდა სწავლა ქართველ მოზარდსაც.

მწიგნობრობის და საერთოდ ეროვნული კულტურის ტრადიცია ჩვენს ოჯახს და ქართველ ქალს მეცხრამეტე საუკუნეშიც გადმოუტანია ეროვნულ სახელმწიფოს დაკარგვის შემდეგ. ქართული ოჯახი შეიქმნა ეროვნული სწავლა-განათლების გამავრცელებელი და ოჯახის დამადგენელი, შემნახველი ისევ ქალი დარჩა. საკმარისია გავიხსენოთ პატივცემული პროფ. ე. თაყაიშვილის მიერ „საქართველოს სიძველენში“ გამოქვეყნებულ „მზითევის წიგნებს“ და ამავე საგანზე შესაფერის ადგილებს ი. გრიშაშვილის წიგნიდან „ლიტერატურული ბოჰემა“, რომ ჩვენ განცვიფრებაში მოვიდეთ. „მზითევის წიგნებში“ თითქმის მუდამ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართულ ხელთნაწერებს და წიგნებს, რომელთა შორის თითქმის მუდამ გვხვდება: „ვეფხის ტყაოსანი“, „დავითიანი“, „არჩილიანი“, „თეიმურაზიანი“, „ვახტანგიანი“ და სხ. ეს იყო განძი, რომელიც ქალს ოჯახიდან თან უნდა წაჰყოლოდა და ჩვენ მოვსწრებივართ იმ დროს, როცა ჩვენი თავმორთული დედები არა მარტო ამა თუ იმ აფორიზმს წარმოსთქვამდნენ საზოგადოებაში, ან სუფრაზე შოთას, ბესიკის, გურამიშვილის, ან ბარათაშვილის ნაწერებიდან, არამედ ხშირად მთელს თავს პოემისას, ან ლექსს ზეპირად იტყოდნენ. ქართველი ქალის განათლების შესახებ ცნობებს მრავალ მოგზაურთა ნაწერებშიაც ვხვდებით. „წერა-კითხვა საქართველოში“, სწერს პრ. ცაგარელი, „გავრცელებული იყო ყველა წრეებში, სულერთია რა კლასისაც არ უნდა ყოფილიყო ეს ქალი და ამაში გლეხი ქალებიც იყვნენ. ამ ქვეყანაში, საცა მამაკაცობა მთლიანად ჩაბმული იყო განუწყვეტლივ ომებში, მხოლოდ ქართველი ქალები წარმოადგენდნენ განათლების მცველებსა და გამავრცელებლებს. პირველ გაკვეთილებს წერა-კითხვისას ბავშვი აქ დედისაგან იღებდა. კაპ. იაზიკოვი, რომელიც 18-ტე საუკუნეში იყო საქართველოში, თავის შენიშვნაში ამ საგანზე სწერსო: „რაიცა შეეხება კეთილშობილ ქალთ, თითქმის ყველა ამათ იციან წერა-კითხვა, ყველა ამ ქალებს ასწავლიანო“ დასხ. ქალთა მწიგნობრობაზე ჩვენში ბევრი ცნობები მოიპოვება. ჩვენ ამაზე აქ ვერ შევჩერდებით, დამატებით მხოლოდ ერთ ადგილს აღვნიშნავთ ილიას ნაწერებიდან. ის სწერს: „ზოგი წიგნს გასართობად კი არ ჰკითხულობს, არამედ იმისთვის, რომ გაიგოს რამე ახალი, ანუ ძველი კარგი და მშვენიერი, ჰკითხულობს გულმოდგინებით და სიამოვნები. ამ ხარისხის მკითხველებს ეკუთვნიან ქართვლეი ქალები, მომეტებულად ისინი, რომლებმაც არ იციან რუსული კითხვა. დიდება და პატივისცემა ეკუთვნის ამ ქალებს. რო სწორედ ვიანგარიშოთ, იქნება საქართველოში ქალი წერა-კითხვის მცოდნე მეტი აღმოჩნდეს, ვიდრე კაცი — მეტადრე სოფელში; რომელს თავადისა და აზნაურიშვილის ოჯახში ნახავთ ქალსა, რომელმაც არ იცოდეს წერა-კითხვა, მრავალს იპოვნით წერა-კითხვის მცოდნე გლეხკაცის გასათხოვარ გოგოსა იმ სოფელში, საცა ცხოვრობენ თავად-აზნაურის ქალები, იმათ აქვთ ხოლმე ყოველთვის სურვილი გოგოების სწავლისა. არ ეტყვიან უარსა თუ გლეხმა მოაცალა თავისი შვილი. სადიდებელნი და პატივსაცემი არიან ეს მასწავლებელი ქალები... რომ არას იშურვებენ და უანგაროდ ასწავლიან... აჭარაშიაც თითქმის ყოველი ქალი თურმე ქართულ ასოებით თათრულ სიტყვებს სწერენ...“ და სხ. ხშირად შეხვდებით ცნობებს იმაზე, რომ სამაჰმადიანო საქართველოში ძველი ქართული ტრადიცია, მხოლოდ ქალთა ღვაწლით შენახულა. ისინი შვილებს ქართულ დედა-ენას ასწავლიან და მათ ძველ ვინაობას აცნობენ და თუ ქართული სიტყვა კიდევ შენახულა ძველ მესხეთში, შორეულ ფერეიდანში და სხვაგან, საცა გამაჰმადიანებლი ქართველები ცხოვრობენ, ეს მხოლოდ ქართველ ქალს გადაურჩენია და დაუცავს.

ქალები არა მარტო სწავლა-განათლებას უნერგავდნენ მოზარდ თაობას, არამედ ამაღლებდნენ და ასპეტაკებდნენ მთელ მის ბუნებას. წვრთნიდნენ მათ უმაღლეს გრძნობებს: სამშობლოს სიყვარულს, თავდადება-მოთმინებას, ლმობიერებას და გამკითხაობას, გარჯა მხნეობას და ყველა იმ შესანიშნავ თვისებებს, რითაც დაჯილდოვებული ყოფილა ძველად ქართველი ქალი. ზოგი ამ თვისებათაგანი ასე მხატვრულად გადაგვიშალა უკვდავმა ილიამ თავის „ოთარაანთ ქვრივში“.

დედების გარდა ამ მაღალ თვისებებს უნერგავდა ჩვენ მოზარდ თაობას მისი გამდელი. არა მგონია რომელიმე ერში ყოფილიყოს ისე სიყვარულის შარავანდედით შემკული გამდელის სახელი, როგორც საქართველოში. ესენი არიან ნამდვილი ბურჯნი ოჯახის, მისი უმაღლესი კანონი და უანგარო მორალი. სწორედ ეს „ძიძაობა“ და „გადიობა“ თავისებურ კეთილშობილების დაღს ასვამდა ქართულ ოჯახს. ეს თემაც ცალკე კვლევის და შესწავლის საგანია და აქ ქართველი ქალის სახე, უეჭველია წარმტაცის მშვენებით გამოაშუქებს. ცოტა რამ მაინც უნდა ვსთქვად ამ ღვაწლმოსილ, მაგრამ უჩინარ ქალებზე.

ქართულ მოწინავე წრეებში „გამდელის“ ინსტიტუტი თავიდანვე განვითარებული იყო. „ქართლის ცხოვრებიდან“ ჩვენ უკვე გავეცანით ზოგიერთ აღმზრდელ ქალებს. მათი ტრადიციები ქართულ სასახლეებს ბოლომდე გამოჰყვათ. ერეკლეს და გიორგი მეფის სასახლეში სასძლოს განათლებას და მისი მაღალ ზნეობის გაწრთვნას მხოლოდ ქალებს ანდობდნენ. მოვიგონოთ კიდევ ერთი მაგალითი პლ. იოსელიანის შრომიდან გიორგი 13-ზე. ერეკლეს სურვილით ბატონიშვილი „ჯერ რვისა წლისა, ძველთა დროთა ჩვეულებისამებრ, დანიშნეს ჩერქეზთ ბატონ გირეი ოძისა ქალზე... განსწავლებლად ქალისა წარუვლინეს მას თავადი შარიდან შალიკაშვილი, ექვსი მოახლე ქალი და აზნაურიშვილის ქვლივიძის ქვრივი ნინო... დედაკაცი მწიგნობარი, ძლიერი სიტყვითა და ბრძენი ჭკუითა, დიდი ცხენოსანი იყოო, ბრძანებდა თვით მეფე გიორგი და გულოვნებისათვის მისისა დიდათ პატივს სცემდნენ მას სასახლეშიო“.

იგივე ისტორიკოსი მეორე ადგილას აღნიშნავს სასახლის გამდელთა დიდ მორალურ ძალას და განსაკუთრებულ ავტორიტეტს: „მეფისეული და დედოფლისეული სასახლის გამდელნი, ესრეთ იყვნენ ძლიერნი, რომელ მეფესა და დედოფალსა ხადოდენ ტყვედ... თვით მეფის ძენი და ასულნი და მეფის სძალნი ძრწოლავდნენ მათგან...“ ასეთი დიდი გავლენა და პატივისცემა გამდელთ ბოლომდე შეუნარჩუნებიათ, მგოსან აკაკის „თავგადასავალში“ ვკითხულობთ: „გამდელი, როგორც ოჯახის ერთგული ნამსახური და მოჭირნახულე, დიდ პატივში იყო, ხმა ჰქონდა საოჯახო საქმეში და ბატონიშვილების გაზრდაც მათ ხელში იყო; ეს ყოველ ოჯახში საზოგადოთ ძველთაგანვე მიღებული იყოო“. გამდელთა თავდადება, უანგარო ზრუნვა ოჯახის წევრთათვის და თავგანწირულება მხატვრულის სიძლიერით განუცხოველებია ილიას ერთ თავის დაუმთავრებელ მოთხრობაში: „უღელტეხილი“. აგვიწერს რა სათნო გამდელ თინიას, საკუთარ ბედნიერების გრძნობასა, ოჯახსა, ნათესაობასა და თავს დასდებდა იმ ხალხისათვის, რომელსაც ბედი დაუნიშნავდა და რომელშიაც უდრტვინველად დაასრულებდა თავის ყოფა-ცხოვრებას უქმროდ, უშვილოდ და უსახლკაროდ... მე ჟრჟოლა მომდის ხოლმე, როცა მომაგონდებიან ის საკვირველნი, ერთგულებით განთქმულნი, იმ თავისთავისათვის დაკარგულნი, დათრგუნვილნი, ცოცხალ-მკვდარნი ადამიანებიო“. გულამოკვნესით ასკვნის ილია.

გამდელნი რომ ძველთაგანვე ღრმად პატივცემულნი და მაღალ საფეხურზე აყვანილნი ყოფილან, ამის საუკეთესო საბუთია ჩვენი სიამაყე შოთა, რომელმაც ასმათის სახით გამდელის ულეთილშობილესი თვისებანი გამდელის უკეთილშობილესი თვისებანი გადაშალა; ნესტან დარეჯანის მხნეობა, ერთგულება, გამძლეობა და სხვა მაღალი თვისებები, რაც ქართველი ქალის უმაღლეს იდეალად რჩება, მას, მისმა გამდელმა ასმათმა შთაუნერგა. ასმათი თითქოს ჩრდილშია და მისი აქტივიბა ისე ნათლად არ მოსჩანს პოემაში, მაგრამ ნამდვილი გმირი, თავდადებული და თავგანწირული მისი აღზრდილის — ნესტანის ბედნიერებისათვის, დახსნისთვის და ტარიელთან შეერთებისათვის, სწორედ ასმათია.

ბოლოს, როცა მრავალ ჭირთა გადახდის შემდგომ, „ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი“, გამდელის ღვაწლი ღირსეულად იქმნა დაფასებული: ინდოთ მეფე უბრძანებდა ასმათს მისსა შეკვდომილსა: რაცა შენ ჰქმენ არ უქმნია არ გამზრდელსა არცა ზრდილსა;

აწ ინდოეთს სამეფოსა მეშვიდედსა, ერთსა წილსა,

ზედა დაგსვამ, შენი იყოს გვმსახურებდი ტკბილი ტკბილსა...“

მაგრამ გამდელისათვის სახელმწიფოს მეშვიდედზე ვერ გაიცვლება სიყვარული ნესტანისადმი. მისთვის ამ ქვეყნიური სიმდიდრე და მორჭმულობა წარმავალია. ეს ქალი ლოლომდე უანგარო რჩება და ტარიელს მოახსენებს: „თუ ხმელეთი სრულად მქონდეს, ვერცა მაშინ ვერ გავსწირავ ჩემგან ზრდილსა, არცა სხვაგან ვიარები... გაგეყრები..“

თავისი აღზრდილისათვის სიცოცხლის განწირვაზე უფრო მაღალი და სანეტარო გამდელისათვის არ არსებობს და ასმათი ინდოთ მეფეს მიუგებს: „მონობისა უკეთესი რამც ვიშოვნო, რამც ვიქონო...“

ჩვენ ვნახეთ, რომ მეთორმეტე საუკუნის გამდელ ქალის მთავარი თვისებები ქართველ ქალს ბოლომდე შერჩენია და „გამდელნი“ ასმათი, ისახარი და სხვანი ლიტერატურიდან კი არ შექმნილან, არამედ მათი ძირები „ქართლის ცხოვრებიდან“, ჩვენი ძველი სინამდვილის ქალების დასიდან მოდიან.

(გაგრძელება იქნება)

თამარ პაპავა.

## დანაშაულობა და სასჯელი

ხულიგნობა, (წმინდა რუსული ფენომენი), ბანდიტობა, საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობა და სხვა მრავალი ფორმა კრიმინალობის, რაც საბჭოთა კავშირში (ყველა რესპუბლიკების ჩათვლით) ასე გახშირებული და თითქმის მასიური მოვლენაა და რასაც სოციალისტურ საზოგადოებაში ადგილი არ უნდა ჰქონოდა, ჩვეულებრივი მოვლენაა და დღეს მის წინააღმდეგ საჭირო შეიქმნა დაუნდობელი ბრძოლა, რეპრესიების გაძლიერება, დამნაშავეთა კი სასტიკი დასჯა.

ჯერ კიდევ 1960 წ. იანვრიდან, საბჭოთა მთავრობამ გააუქმა შინაგან საქმეთა სამინისტრო (შინსახკომი), რომელიც სტალინის თვითმპყრობელობის ეპოქაში ასე სახელმოხვეჭილი გახდა, არამც თუ უბრალო მომაკვდავ მოქალაქეებს, არამედ, თვით ცნობილ, ხანდაზმულ კომუნისტებსაც კი შიშის ზარს სცემდა და ბევრ უდანაშაულოთ სიცოცხლეს ასალმებდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს გაუქმების შემდეგ მისი ფუნქციები მოკავშირეთა რესპუბლიკების სამინისტროებს დაევალა. გასულ წელს (1966), რათა დანაშაულობის და საზოგადოებრივ წესრიგის დამარღვეველთა წინააღმდეგ ბრძოლა ენერგიული და რადიკალური ყოფილიყო, ცენტრალურმა მთავრობამ კვლავ აღადგინა საკავშირო საზოგადოებრივ წესრიგის დამცველი სამინისტრო. მაშასადამე, მოკავშირე რესპუბლიკებს, შინაგან მმართველობის, ეს ავტონომიური ფუნქცია ჩამოერთვათ და ის მოსკოვის ცენტრალურმა მთავრობამ მიითვისა.

ეს გარდაწყვეტილება ხომ არ ნიშნავს 1956 წლიდან მოყოლებული დეცენტრალიზაციის მარცხს? ან უკან დახევას? რა თქმა უნდა ნიშნავს. გვინდა აქვე აღვნიშნოთ, რომ ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია, სისრულით, არას დროს ცხოვრებაში არ გატარებულა, უფრო ფორმალური ხასიათის იყო, ვიდრე ეფექტიური: ბრძანება და ინსტრუქციები ყოველთვის ზევიდან (მოსკოვიდან) მოდიოდა. რესპუბლიკების ადმინისტრაციული ავტონომია ფიქტიური და ნომინალური ბოლომდე დარჩა. მართალია, ბერიას გაქრობის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბევრი უფლება და ატრიბუტი ჩამოაცალეს, მაგრამ 1953 წლიდან პოლიტიკური პოლიციის ფუნქციები სახელმწიფო უშიშროების ხელში გადავიდა, მას არვინ შეხებია და ის ყოველთვის თავის ადგილზა დარჩა. როდესაც ხრუშჩოვი ხელისუფლების სათავეში მოექცა, სახელმწიფოებრივი აპარატების, უპირველეს ყოვლისა, შინაგან სამინისტროს ძლევამოსილების შეზღუდვა, ნაწილობრივ მაინც მისი დაუძლურება მოიწადინა. ასევე, 1956 წ. მან ცენტრალურ მთავრობიდან იუსტიციის სამინისტრო გამოაცალკევა და ის მოკავშირე რესპუბლიკებს გადასცა. მაშინ, ამის გამო ამბობდნენ: სასამართლოები ხალხს უნდა დაუახლოვოთ, რომ სოციალისტური კანონიერება დაცულ იქმნესო. რეალური განამდვილება არც ამას ღირსებია.

ეს იყო ხრუშჩოვის იდეალიზმი, სუბიექტიური შეხედულებანი სინამდვილეს დაშორებული. სახელმწიფო პოლიტიკური ორგანოების თანდათანი შესუსტება და, მომავალში, სოციალიზმის მშენებლობის მიწურულში, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, მთლად მოსპობა, როგორც იძულებით ინსტიტუტისა, თანახმად სოციალიზმის მოძღვრებისა, რაც გულისხმობდა, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის შემდეგ, საჭირო აღარ იქნებოდა პოლიტიკური სახელმწიფო მმართველობა, არც პოლიცია, არც ჯარი, არც არავითარი იძულებითი ადმინისტრაციული ორგანოები, გარდა ხალხის ნების მიერ არჩეული და გამართული სამეურნეო საბჭოებისა, უხვი პროდუქციის მოსახვეჭავად და მის სამართლიან განაწილებისათვის.

განვაგრძოთ, იდეალიზმის კიდევ ერთი ნიმუში. 1959 წ. პარტიამ, მოწინავე მოქალაქეებს და კომკავშირის წევრებს მიმართა საზოგადოებრივ წესრიგის დამცველთა მოხალისეთა რაზმები შეედგინათ, რომელთაც ევალელოდათ საზოგადოებრივი მორალის განმტკიცება, ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ მკაცრი ბრძოლის წარმოება. ამ მიზნით ქარხნის უბნებში ამხანაგური სასამართლოები ჩამოყალიბდა. აქაც, რასაკვირველია, მოხალისე მოსამართლეებს პროფესიონალი უნდა შეეცვალათ. ამავ დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაციას ეკონომიური რეფორმა თან მოჰყვა. მრეწველობის საკავშირო სამინისტრო დაიშალა, მისი მართვა ადგილობრივად რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოებს დაევალა. არც ერთს და არც მეორე რეფორმას არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. უკმაყოფილება, არევ-დარევა, დეზორგანიზაცია თავის მიმართულებით მიდიოდა და კრიმინალობას არამც თუ ბოლო ეღებოდა, პირიქით, თანდათან მატულობდა.

ამ პოლიტიკის ფილოსოფია სულ მარტივია: დანაშაულობა, მათის განმარტებით, განა ბურჟუაზიული მწყობრის ღვიძლი ნაშიერი არ არის? მისი მავნე სოციალური პროდუქტი? განა ერთ დროს არ ითვლებოდა კაპიტალისტურ საზოგადოების მანკიერებად, წარმოშობილი მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიურ საფუძველზე? მათის აზრით, სოციალისტურ საზოგადოებაში, ის კიდევ ერთხანს იარსებებდა, რადგან მისი წარმომშობი მიზეზები — კაპიტალისტური, სოციალ-ეკონომიური აღარ იქნებოდა, ის თავის თავად მოისპობოდა. საბჭოთა რეჟიმის დასაწყისში, პარტიის ოპტიმისტი თეორეტიკოსები დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, არამც თუ თანდათანობით მოისპობოდა კრიმინალობა, როგორც ბურჟუაზიული წყობილების მავნე გადმონაშთი, არამედ მისი ეტაპების აჩქარებაც კი შესაძლებლად მიაჩნდათ. კრიმინალობა, მათ ასე ეგონათ, ბურჟუაზიული გადამდები სენი იყო, ბურჟუაზიული დაავადება და დამნაშავე არაფერ შუაშია, ის იყო უბრალო საზოგადოების წინაშე. დამნაშავე, ამ სენს, მის უნებურად, ბურჟუაზიულ საზოგადოებიდან ღებულობს და ამიტომ ის კი არ უნდა დაისაჯოს, არამედ იმკურნალოს. მაშასადამე, საპყრობილეები საჭირო აღარ არის, მისი ლიკვიდაცია უნდა მოხდეს. სტალინის პეპიოდმა ჩვენ დაგვანახვა, ამ მტკიცების თეზისი, თუ მცდარი არა, მეტად ნაადრევი იყო. ადამიანის ბუნების გარდაქმნა სურვილებით არ ხდება, იდეალურ საზოგადოების დასაფუძნებლად საჭიროა ხანგრძლივი დრო, სათანადო პოლიტიკურ-ეკონომიური პირობების შექმნა; დიდი აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება. ჩვენ მაინც ვფიქრობთ კრიმინალობის აბსოლუტური მოსპობა არც ისეთი იოლი საქმეა, ხოლო მისი საგრძნობლად შემცირება შესაძლებელია, თუ ესა თუ ის რეჟიმი თავის მორალურ სიმაღლეზე სდგას.

პირველ ხანებში ხრუშჩოვიც დამნაშავის აღზრდა-გამოსწორებაზე უფრო ამახვილებდა თავის ყურადღებას, ვიდრე მათ გასამართლება და დასჯას. ე. ი. ერთგვარად ოპტიმისტი იყო; ეგონა ადვილად მოხერხდებოდა დამნაშავეთა დარიგებით, დიდაქტიური მეთოდით გამოსწორება და მათი შრომის ფრონტზე გამოყენება. სინამდვილემ მისი ილუზიები მალე დაფუშა. დანაშაულობათა მასიური ხასიათის გამო, იძულებული იყო, საგანგებო ზომები მიეღო და სასტიკი სასჯელით, რეპრესიებით, სიკვდილით დასჯითაც კი კრიმინალობა ძირბუდიანათ აღმოეფხვრა. „ეკონომიურ დამნაშავეთა“, საზოგადოებრივ ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ ახლად გამოცემული კანონი (1961 წ.) ხომ შეუბრალებელი იყო. განსაკუთრებით, პარტია, მთავრობა და პრესა აღშფოთებულია, რომ ხულიგნობა, კრიმინალობა და მცარცველობა ძალზე ფეხმოკიდებულია მოზარდ თაობასა და თვით კომკავშირის წევრებ შორის.

წლების განმავლობაში ატეხილი განგაში ეხლაც გრძელდება. პარტიის ორგანიზაციები კრებას-კრებაზე მართავენ, გმობენ კრიმინალების თავხედობას, მოითხოვენ მათ საზოგადოებიდან გაძევებას და სასტიკად დასჯას. მთავრობის ორგანოებიც სცემს მკაცრ კანონებს, პრესაც განუწყვეტელ პროპაგანდას ეწევა, ერთი სიტყვით, მთელი „საბჭოთა საზოგადოება“ ყალყზეა შემდგარი. კრებებზე გამოსული ორატორები მოითხოვენ ბოროტმოქმედთა აღაგმვას. ჯერჯერობით, ეს სიმკაცრე, როგორც სჩანს საკმარისი არ არის; რადგან კრიმინალობა არამც თუ კლებულობს, თვით მათი სტატისტიკის თანახმად, თანდათან მატულობს.

ასე რომ, ვერც რეპრესიებით, ვერც აღმზრდელობით ხულიგნობა, ლოთობა, მძარცველობა და სხ. ვერ მოსპეს. მისი აღმომცენებელი ნიადაგი თვით საბჭოთა რაჟიმის წიაღშია საძებნელი და ამ ნიადაგის ამოძირკვა იქიდან უნდა დაიწყოს და მხოლოდ მაშინ კრიმინალობა, მთლიანად თუ არ მოისპობა, შედარებით მაინც დაიკლებს და შემცირდება.

ერთი კი ცხადია; წინათ რომ ეგონათ კაპიტალიზმის მოსპობასთან ერთად ყოველგვარი სოციალური მანკიერებაც მოისპობოდა, არ გამართლდა. კომუნიზმის გზაზე, სინამდვილისა და იდეოლოგიას შორის კონფლიქტი, განუყრელი თანამგზავრია. მუდმივი კონფლიქტი განა მარტო ერთ სფეროშია?

**ს. ჭირაქაძე**

## აბრამ ლინკოლნი.

(გაგრძელება. იხ. „ქ. ა.“ № 58)

დუგლასმა განაცხადა: თუ რესპუბლიკანელები წინაღუდგებიან უმაღლესი სასამართლოს განაჩენს დრედ სკოტის გამო ეს გადაიქცევა „ახდილ და შეურიგებელ დავათ—კანონის უმაღლესობის მეგობრებ და მტრებ შორისო.

ლინკოლნი კი ამბობდა: „ჩვენ ვიცით, რომ სასამართლომ, რომელმაც დრედ სკოტის განაჩენი გამოიტანა, მრავალჯერ შეიცვალა თავისი აზრი და შესცვალა განაჩენიც. ჩვენ ყველაფერს ვიზავთ, რათა ეს გარდაწყვეტილებაც გამოიცვალოს. ამიტომ ჩვენ არავითარ წინააღმდეგობის გაწევას არ ვაპირებთ“-ო ამგვარად რესპუბლიკანურ პარტიას სრულებითაც არა სურდა რევოლუციური წესით რამის გამოცვლა, არამედ იბრძოდა იმისთვის, რომ მიეღწიათ თავისი პრეზიდენტი აერჩიათ რომელიც დანიშნავდა ახალ მოსამართლეებს და შესცვლიდნენ, ან გააუქმებდნენ ძველი სასამართლოს განაჩენს.

მეორე:—ლინკოლნმა მოიგონა ჯეფერსონის ვეტო, რომელიც დაადო ეროვნული ბანკის დაფუძნებას. მაშინ უმაღლესი სასამართლო ბანკის დაფუძნების კანონს კონსტიტუციონალურად სთვლიდა. პრეზიდენტი კი საწინააღმდეგო აზრის იყო. „მე მრავალჯერ მომიხდა მოსმენა თუ დუგლასი როგორ ებრძოდა და თავს ესხმოდა უმაღლეს სასამართლოს და როგორ ადიდებდა ჯეფერსონს, რომელმაც ეს გარდაწყვეტილება არ მიიღო. საინტერესო იქნებოდა დუგლასმა კვლავ გადაიკითხოს ამ საკითხზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვები და ნახავდა, როგორი სიზუსტით ეხება მას ყველა ის სიტყვები, რასაც დღეს ჩვენ მიმართ ხმარობს, რადგან არ ვიზიარებთ სასამართლოს გარდაწყვეტილებას“-ო.

დასასრულ ლინკოლნმა მკვეთრად გამოსახა რესპუბლიკანური პარტიის მისწრაფება: „რესპუბლიკანელები თავისი ძალისა და შესაძლებლობის დაგვარად ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ნეგრი ადამიანია, რომ მისი მონობა უაღრესი უსამართლობაა და შეუძლებელია მისი შევიწროვების ასპარეზის გაფართოვება. დემოკრატებს არ უნდათ სცნონ ის ადამიანათ; უარყოფენ იცნონ, ან უმნიშვნელოდ მიაჩნიათ მონობის სიბოროტე, ცდილობენ ჩააქრონ ყოველი შემამსუბუქებელი საშუალებები და გააღვიონ მონებისადმი ზიზღი და მტრობა. ამიტომ ისინი თავის თავს სთვლიან კავშირის მხსნელებათ და მონათმფლობელობის ტერიტორიის გაფართოვებას „თვითმმართველობის საღრმთო უფლებას უწოდებენ. ცხადია ასეთ შემთხვევაში ძალიანცოტანი აღმოჩნდებიან, რომ მონები გაგზავნონ ლიბერიაში და თან გზის ხარჯიც აუნაზღაურონ, როდესაც მონათმფლობელს შეუძლიან თავისი მონა, ვთქვათ, კანზასში გააგზავნოს და იქ 1500 დოლარათ გაყიდოს!“-ო.

აქედან ნათელი ხდება დუგლასის შეშფოთება, როდესაც გაიგო—რესპუბლიკანელებმა ლინკოლნი დანიშნეს მის კონკურენტათო.

თუმცა 1958 წელში ლინკოლნის გამოსვლები, დუგლასის წინააღმდეგ განთქმულია და ის ყოველი მოსწავლისათვის ცნობილია, მაინც მოწინააღმდეგეებმა ცოტა რამ შემატეს თავ-თავის პოზიციებს და ცოტა რამ სთქვეს ახალი, რაც იქამდე არ ეთქვათ. შეიძლება ეს ორი გიგანტი არც იმდენად იყვნენ დაშორებულნი. ჯერ კიდევ უცნობია, თუ რა საფუძველი ჰქონდა ლინკოლნს განეცხადებინა, რომ „ჩვენ საუკეთესო მეგობრები ვართო“ და სწორედ მაშინ, როდესაც მათმა პოლემიკამ უმწვავესი ხასიათი მიიღო, როცა დუგლასმა დაკარგა ნერვები და გინებაზე გადავიდა. მონობის საკითხი, რაც მათ შორის დავის მთავარი იყო, შემდეგნაირად წარმოისახებოდა:— მონობის გავრცელებას უნდა შებრძოლებოდნენ მხოლოდ მორალურად, თუ ლეგალური საშუალებითაც.

დუგლასი დარწმუნებული იყო, რომ მართალია კანზასი სისხლისაგან იცლებოდა და დედ სკოტის საქმის გადაწყვეტა და ნებრასკის კანონი შემცდარი არ იყო და „ხალხის სუვერენიტეტის“ პრინციპი აღკვეთავდა მონობის სხვა შტატებში გავრცელებას.

(გაგრძელება იქნება)

**არ. დონაური**

## ქართულ სათვისტომოში

დიდი ზეიმით აღნიშნა ქართულმა სათვისტომომ შოთა რუსთაველის 800 წლის თავი.

დეკემბრის 18 დილის 11 საათზე ბერძნულ კათედრალის მოძღვარმა მამა პაპადეუსმა გადაიხადა პარაკლისი. ბერძნულმა გუნდმა ორიოდ საგალობელი ქართულად შეასრულა.

წირვას განსაკუთრებული ეშხი და სილამაზე მისცა ბერძნულ კათედრალის საკურთხეველში დეკ. ილიას გამოჩენამ. წარმოიშვა ორი სასიამოვნო მომენტი; ჩვენი უკვდავი მგოსნის დაბადების 800 წლის თავით აღფრთოვანებული ქართული გული და მშობლიურ ენაზე ქართული წირვა-ლოცვის მოსმენა. რა უნდა ყოფილიყო ქართველი მამულიშვილისათვის უფრო მეტი სიამაყის აღმძვრელი მოვლენა!

მამა ილიას ჩვენს საზოგადოებაში გამოჩენამ განსაკუთრებული ლაზათი მისცა არა მარტო დიდებული მგოსნის დაბადების 800 წ. აღსანიშნავ ზეიმს, არამედ საიმედო სხივი შეანათა სამშობლოს მოწყვეტილ ქართველის გულში.

სამოქალაქო ზეიმიც მამა ილიას სიტყვით გაიხსნა, რომელიც ქართველებისთვის დიდმა მოამაგე მამა პაპადეუსმა შესცვალა. შემდეგ კი სიტყვა მიეკუთვნა ბ-ნ თ. ბაგრატიონს, რომელიც სათვისტომოს გამგეობის თხოვნით მთავარი მომხსენებელი იყო.

ჩვენი გაზეთის მკითხველი შემდეგი ნომრებიდან გაეცნობა ბ-ნ თ. ბაგრატიონის შინაარსიან და მომხიბვლელად წარმოთქმულ მოხსენებას.

საზეიმო კრების შემდეგ სათვისტომოს გამგეობამ დამსწრე საზოგადოება მიიწვია კათედრალის დიდ დარბაზში და მათ ჩინებული სადილით გაუმასპინძლდა.

სუფრას თამადობდა დრ გ. ნაკაშიძე, რომელიც საზოგადოებას ხიბლავდა მჭევრმეტყველობით.

## რედაქციისაგან.

განვლილი (1966) წლის განმავლობაში „ქართული აზრის“ ფონდისათვის რედაქციამ მიიღო შემდეგი შემოწირულება:

დრ. გ. გაბლიანი — 250 დოლ, ვ. სანგულია — 90, ის. გაჟონია — 40, ალ. ჩხენკელი — 30, ნ. თოფურია — 30, გ. ზალდასტანიშვილი — 70, დ. ალავიძე — 20, დ. შალიკაშვილი — 20, გ. ჯაყელი — 10, ი. კონტრიძე — 10, ა. ჯინჭარაძე — 10,

ულრმეს მადლობას უცხადებთ ქართული ბეჭდითი სიტყვის გულშემატკივრებს. მკითხველ საზოგადოებას გვსურს მოვაგონოთ, რომ წინამდებარე გაზეთი ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა ნებაყოფლობითი დაბეგვრით და შემოწირულებით არსებობს და მისი ფონდის გასამტკიცებლად შემოწირულ ყოველ დოლარს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს შესაძლებლობას გვაძლევს შევინახოთ, თითქმის, ერთად-ერთი პერიოდული ეროვნული პოლიტიკის ორგანო.

ცხადია, ჩვენი მოწოდება და თხოვნა არ ეხება იმ კატეგორიის ქართველს, რომლსაც რუსულ კომუნისტურმა პრესამ „გარე ქართველი“ დაარქვა და მოუწოდა „გამიჯნულიყო პოლიტიკური ემიგრაციისაგან, „რათა თვითონაც არ წაიბილწნენ ანტისაბჭოურ საქმიანობით“. ჩვენი ქვეყნის მპყრობელ რუსეთის და მის ქართველ აგენტების ამგვარ პროპაგანდას თავისი მსხვერპლები ჰყავს და ბოლშევიკურ დირექტივებს „მკაცრად იცავენ და ასრულებენ“.

არ ვეხებით არც იმ კატეგორიის ქართველს, რომელიც ჩაიყურსა კერძო, პირადი ცხოვრების მორევში და საქართველო, მისი გამანთავისუფლებელი ბრძოლა, შემთხვევიდან შემთხვევამდე „სადღეგრძელოს“ მასალად იქცა.

არ ეხება არც იმ კატეგორიის ქართველს, რომლისთვისაც ქართველობა შემოსავლის წყაროთ იქცა, — იოლი შრომით, უკეთესად იცხოვროს.

ჩვენ მივმართავთ დასახმარებლად მხოლოდ იმ ქართველ მამულიშვილს, რომელსაც ჩვენი სამშობლოს მპყრობელთან და რუსულ კომუნისტურ რეჟიმთან არავითარი კომპრომისი არ გაუკეთებია: ვინც ამაყად ატარებს ეროვნულ განმათავისუფლებელ დროშას და ვინც სანიმუშო გამძლეობით და მოთმინებით იტანს პოლიტიკური ემიგრანტის „უმადურ“ სახელს.

ამ კატეგორიის ქართველისაგან „მცირედიც შეიწირების“.

საჭიროთ მივვაჩნია განვაცხადოთ: რადგან შორეულ ქვეყნებში გაზეთის მოთხოვნილება მეტად გაიზარდა, ხოლო, უსახსრობის გამო, ტირაჟის გადიდების შესაძლებლობა არა გვაქვს, ამიტომ, ამ ქვეყანაში მცხოვრებთ, მომავალი (1967) წლიდან გაზეთი მხოლოდ ხელისმომწერლებს დაურიგდებათ. თანამემამულეებს ვთხოვთ წინდაწინ დაიჭირონ თადარიგი და თავისი გარდაწყვეტილება აცნობონ რედაქციას.

**G. A. Press**
114 St. Mark's Place,
Tel.: 473 - 0240
New York 10009, N. Y.
ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზეც.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
*Mr. G. Djakeli*
*535 E. 78 Street,*
*New York, N. Y. 10021*
ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

*EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.*
*EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia, Dr G. Gabliani.*